# გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №7
## 2024 წლის 12 აპრილი

## ქ. გორი

**„გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 აპრილის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 აპრილის №21 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/04/2020; 010250050.35.148.016611) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**ა)** დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იმ ორგანიზაციების და ფიზიკური პირების ხელშეწყობა, რომლებიც განახორციელებენ: გამოფენებს, ფესტივალებს, კონკურსებს, კონფერენციებს, საახალწლო და სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას.“;

**ბ)** დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი/დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი;

გ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოში რეგისტრირებული ფილიალი;

დ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული/მცხოვრები ან მოღვაწე ფიზიკური პირები.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**გორის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით რაზმაძე**